ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა

რა არის პროექტის არსი?

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების/ოჯახების რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა.

ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები?

ქ. თბილისში რეგისტრირებული უსახლკარო პირები/ოჯახები.

რას მოიცავს პროექტი?

- დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პირს/ოჯახს მიენიჭება უსახლკარო პირის/ოჯახის სტატუსი.
- სტატუსის მინიჭების შემდეგ, მოხდება პირის/ოჯახის შეფასება ქულათა შესაბამისი სისტემით. ქულების მიხედვით განისაზღვრება თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა.

კომენტარი: უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაცია არ წარმოშობს უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრირებული პირის/ოჯახად თავშესაფრით/საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრირებული პირი/ოჯახი თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რესურსების შესაბამისად.

როგორ უნდა მიიღოს პირმა/ოჯახმა ბენეფიტი?

პირმა/ოჯახმა თავშესაფრის/საცხოვრისის მიღების მიზნით, უსახლკარო პირად/უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისთვის დადგენილი ფორმის განაცხადით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს (უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას).

განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
- შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკარო პირად რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ